ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. გურჯაანი 21 ოქტომბერი 2014 წელი

ააიპ სამუსიკო სკოლების გაერთიანების (შემდგომში დამკვეთი) მისი დირექტორის რუსუდან ჩიტაურის სახით მოქმედი დებულების საფუძველზე და შ.პ.ს. „ინტელექტის" (შემდგომში შემსრულებელი) მისი დირექტორის ვ. ქაჩლიშვილის სახით, მოქმედი წესდების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი:

1.1. ააიპ სამუსიკო სკოლების გაერთიანების საჭიროებისათვის შესრულდეს შემდეგი მომსახურეობა:

ა) მოწმობების დამზადება.

II. მომსახურეობის ღირებულება

2.1. მომსახურეობის საერთო ღირებულება განისაზღვრება შეკვეთილი სამუშაოს სირთულისა და რაოდენობის 200(ორასი) ლარის ოდენობით.

III საქონლის ხარისხი

3.1. შესრულებული სამუშაოს ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დამკვეთის მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

IV. ანგარიშსწორება

4.1. დამკვეთის მიერ შემსრულებლისათვის შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი მკაცრი აღრიცხვის სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

V. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს ღირებულების დროული გადარიცხვა შემსრულებლის საბანკო ანგარიშზე.

5.2. შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) სამუშაოს შესრულება დამკვეთისათვის, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

VI. ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

VII. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

7.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილი იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

7.2. თუ მხარეები ვერ შეძლებენ გადაწყვიტონ დავა მოლაპარაკების წესით, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

VIII. მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2014 წლის 21 ოქტომბრიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

IX. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

დ ა მ კ ვ ე თ ი	*შ ე მ ს რ უ ლ ე ბ ე ლ ი*
ააიპ სამუსიკო სკოლების გაერთიანება	შ.პ.ს. „ინტელექტი“
ს.ნ. №227770506	ანგ № GE51BG0000000121450100
ანგ. № GE40LB0115123710003000	ს.ნ. 227721917
სს „ლიბერთი ბანკის“ გურჯაანის ფილიალი	საქ. ბანკის ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი LBRTGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
	ქ. გურჯაანი რუსთაველის ქ. №13
	შ.პ.ს. „ინტელექტის“
დირექტორი: რ. ჩიტაური	დირექტორი: ვ. ქაჩლიშვილი